საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არველაძე ბონდო ვალერიანის ძე



ბ. არველაძე

არველაძე ბონდო ვალერიანის ძე (დ. 23. V. 1932, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე, არმენისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1980). 1956 დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი სომხ. ფილოლოგიის განხრით. ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას. მისი შრომები, რ-ებიც ძირითადად ეძღვნება ქართ.-სომხ. ლიტერატურულ-კულტ. ურთიერთობას, გამოქვეყნებულია ქართ. რუს. და სომხ. ენებზე. ა-ის წიგნებიდან აღსანიშნავია „ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“ (1967), „ნარკვევები XX საუკუნის ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“ (1969), „ოვანეს თუმანიანი და საქართველო’“ (1969), „მეგობრობის ნათელი ფურცლები“ (1976), „ეღიშე ჩარენცი და საქართველო“ (1977), „იოსებ გრიშაშვილის პოეტური სამყარო“ (1976, თანაავტორი რ. კუსრაშვილი), „ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი XIX – XX საუკუნეებში“ (ქართული საზოგადოებრიობა და ხ. აბოვიანის, გ. სუნდუკიანის, ჰ. თუმანიანის შემოქმედება, 1978), „ვაჰან ტერიანი“ (1985), „ძმობის ჩუქურთმა“ (ი. გრიშაშვილი და მოძმე ხალხთა მწერლობა, 1987), „საიათნოვა“ (1988), „მწერლის ბედისწერა [გიორგი შატბერაშვილი]“ (2015), „ქართული ეკლესიები საქართველოსა და სომხეთში“ (2016), „აკად. გიორგი ჩუბინაშვილის წიგნის ”Разыскания по армянской архитектуре"-ს გამოცემის წინააღმდეგ ”როგორ” იბრძოდნენ სომეხი მეცნიერები“ (2017), „რაც მოვასწარი“... (2020), „აკადემიკოსი ალექსანდრე ნადირაძე“ (2021), „ქართული ტოპონიმია სომხეთის ტერიტორიაზე“ (2021), „სამცხე-ჯავახეთის ბედისწერა“ (2022), „ქართული ციხე-სიმაგრეები სომხურ ციხეთა სიაში?!“ (2023) და სხვ.

მ. შონია